



საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო



დანიშნულების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში

2019

პუბლიკაცია მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“. შეიძლება ის არ ასახავდეს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს შეხედულებებს.



სარჩევი

ძირითადი მიგნებები	4
შესავალი	5
ანტიდასავლური დებინფორმაცია საქართველოში - პრობლემის აღწერა	6
ქვეყნის შიგნით შექმნილი ონლაინ დებინფორმაცია	8
პრობლემის გადაწყვეტის საერთაშორისო გამოცდილება	9
საქართველოს თავდაცვა დებინფორმაციის წინააღმდეგ-საერთო მიდგომა	12
რეკომენდაციები	16
დანართი	18

- რუსეთთან დაკავშირებული დებინფორმაცია განსაკუთრებული გამონწვევაა ქართული საზოგადოებისათვის და ჰიბრიდული ომის ნაწილს წარმოადგენს. დებინფორმაციის ნარატივები აშკარა ანტიდასავლური დღის წესრიგის გამოხატულებაა.
- დებინფორმაცია, ძირითადად, ქართულ ენაზე ვრცელდება და მათი გამავრცელებლები შეიძლება, გარკვეული ქართული მედიაკომპანიები და პოლიტიკური პარტიები იყვნენ, მაგალითად, „პატრიოტთა ალიანსი“, ან ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა, „პრიმაკოვის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი“ და უკიდურესად მემარჯვენე ნაციონალისტური მოძრაობები, მაგალითად, „ქართული მარში“.
- სულ მცირე, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებიდან მოყოლებული ქვეყნის შიგნით შექმნილი დებინფორმაცია ონლაინ სივრცეში პოლიტიკური ოპონენტების სისტემატური დისკრედიტაციის ინსტრუმენტად გამოიყენება.
- იმ ქვეყნებს, რომლებიც დებინფორმაციის წინააღმდეგ პრობლემის მოგვარების ავანგარდში დგანან, ესმით ინფორმირებულობისა და პრობლემის აღიარების მნიშვნელობა. მსგავსი ქვეყნის მთავრობებს შემუშავებული აქვთ საერთო მიდგომა და ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებაში სათანადო ზომებს ატარებენ .
- საქართველოს საპასუხო ქმედებები დებინფორმაციაზე, როგორც ჰიბრიდული ომის ნაწილზე, არასაკმარისია. მთავრობა რეალურად მზად არ არის გაუმკლავდეს ჰიბრიდულ საფრთხეებს. უსაფრთხოების სამსახურის ქმედებები არ არის საკმარისი ქვეყნის გარედან მხარდაჭერილი დებინფორმაციის გავრცელების შემთხვევების გამოვლენისთვის.
- კვლავაც არსებობს საფრთხე, რომ სახელმწიფომ შემოიღოს დებინფორმაციის საწინააღმდეგო რეგულაცია, რაც, თავის მხრივ, პრობლემას შეუქმნის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების აქტიურ სამართლებრივ დაცვას საქართველოში.
- ყველა პოლიტიკურმა მხარემ, განსაკუთრებით მთავრობამ, დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს დებინფორმაციის და მცდარი ინფორმაციის გავრცელება ან რაიმე ფორმით მხარდაჭერა.
- ქვეყნის შიგნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სტრუქტურაში, უნდა შეიქმნას დებინფორმაციის საწინააღმდეგო სპეციალური განყოფილება ან სააგენტო, რომლის დანიშნულებაც უცხო ქვეყნებისაგან მხარდაჭერილი დებინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია იქნება. საჯარო მოხელეები კარგად უნდა იყვნენ მომზადებულები, რომ გარეშე ძალის ჩარევის იდენტიფიცირება და მისთვის წინააღმდეგობის განევა შეძლონ.

საქართველოში ინტერნეტის მზარდი ხელმისაწვდომობისა და ახალი ამბების მოხმარების ნელა, მაგრამ სტაბილურად ონლაინსივრცეში გადასვლის პირობებში¹ დაიწყო დებატები, თუ როგორ უნდა მოგვარდეს დებინფორმაციასთან დაკავშირებული პრობლემები - გარე ძალების ზემოქმედება და სხვადასხვა სახის მცდარი ინფორმაციის გავრცელება. არსებულ კონტექსტში დებინფორმაცია ფართოდ უნდა იყოს გაგებული, როგორც ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი ტაქტიკური გამოვლინება.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია საქართველოში დებინფორმაციის შესახებ ფართო სურათის წარმოდგენა. ასევე, მოიცავს ცალკეული ცნებების განმარტებას² და განსახილველი პრობლემის აღწერას. ანგარიშში ახსნილია ქვეყანაში არსებული მთავარი ნარატივები, მათი წყაროები და შესაძლო გავლენა ქართულ საზოგადოებაზე, რასაც მოსდევს მოკლე თემატური მიმოხილვა, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და თავად ევროკავშირის მიერ დებინფორმაციასთან ბრძოლაში გამოყენებულ საშუალებებზე. დასკვნითი ნაწილი შეიცავს შეჯამებას და ზოგადად აფასებს დებინფორმაციასთან ბრძოლის მხრივ საქართველოს ძალისხმევას დღევანდელ დღემდე და წარმოადგენს რეკომენდაციებს პოლიტიკური ხელმძღვანელი პირებისთვის.

დებინფორმაცია - პრობლემა დემოკრატიისთვის

დებინფორმაცია საფრთხეს უქმნის დემოკრატიული პროცესების მთლიანობას, იქნება ეს არჩევნები თუ ყოველდღიური საჯარო დებატები.³ დებინფორმაციის გრძელვადიანი შედეგია მედიის, სახელმწიფო და დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის ნელი შერყევა. ეს შესაძლოა, დებინფორმაციის შედეგად დემოკრატიისთვის შექმნილი ყველაზე დიდი გამოწვევა იყოს. როდესაც უნდობლობა ჩნდება, საზოგადოება მსოფლმხედველობის ფორმირებისთვის ე.წ. „ალტერნატიულ ფაქტებს“ ეტანებიან. იზრდება ე.წ. filter bubbles⁴ და echo chambers⁵ რაოდენობა, რაც, საუკეთესო შემთხვევაში, პოლარიზაციას, უარეს შემთხვევაში კი - ძალადობრივ კონფლიქტს იწვევს. არა მარტო თავად დემოკრატიული ინსტიტუტები, არამედ ისეთ სფეროები, როგორცია საზოგადოების ჯანდაცვა (მაგ: ვაქცინაციის შესახებ დებატები) და ტერიტორიული უსაფრთხოებაც კი შეიძლება, აღმოჩნდეს საფრთხის ქვეშ, რომ არაფერი ვთქვათ სხვა სფეროებზე.

1 Media Checker (2018), „ინფორმაციის მიღების გზები და გავლენა - ტენდენციები NDI-ის მიხედვით“, იხ: <http://bit.ly/2FjRR5i>

2 კვლევაში უპირატესად გამოყენებული იქნება ტერმინები „დებინფორმაცია“, „მცდარი ინფორმაცია“ და „ინფორმაციული ველის დაბინძურება“. ევროპის საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე დაყრდნობით, ამ ცნებებს ენიჭება შემდეგი მნიშვნელობა: disinformation, misinformation და malinformation; Jackson, D. (2018) “Issue Brief: How Disinformation Impacts Politics and Publics” (დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდი), იხ: <http://bit.ly/2VgOhm9>

3 Jackson, D. (2018) “Issue Brief: How Disinformation Impacts Politics and Publics” (დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდი), იხ: <http://bit.ly/2VgOhm9>

4 filter bubbles - თანამედროვე ტერმინი, რომელიც გამოხატავს ინტელექტუალური იზოლაციის მდგომარეობას. ანუ, როდესაც მომხმარებელი ეძებს და იღებს მხოლოდ იმ ინფორმაციას, რაც მის სუბიექტურ ინტერესშია და არ იღებს ამ ინფორმაციისგან განსხვავებულ ვარიანტს. შესაბამისად, არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას და მისთვის რეალობაა ის, რაც მას სურს.

5 echo chambers - თანამედროვე ტერმინი, რომელიც წარმოადგენს იმ სიტუაციის მეტაფორულ აღწერას, რა დროსაც ხდება მიზანმიმართულად მხოლოდ იმ ინფორმაციის მოძიება, რაც აძლიერებს არსებულ შეხედულებას და არ უშვებს ალტერნატიული ინფორმაციის მიღებას რეალობის დასადგენად.

რუსეთი და დეზინფორმაცია

ევროკავშირისა და საქართველოს კონტექსტში რუსული დეზინფორმაცია განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს. დეზინფორმაცია რუსეთის ჰიბრიდული ომის არსენალის განუყოფელი ნაწილია. დეზინფორმაციის წინააღმდეგ ევროკავშირის სამოქმედო გეგმაში⁶ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ რუსულ წყაროებს მრავალჯერ აქვთ დეზინფორმაცია გავრცელებული ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, მიმდინარე არჩევნებთან და რეფერენდუმებთან დაკავშირებით. რუსული დეზინფორმაციის მანქანა ზოგიერთ სპეციფიკურ მოვლენასა და თემას საგანგებოდაც იყენებდა.⁷ ევროკავშირის სამოქმედო გეგმის დასკვნაში წერია: „EU Hybrid Fusion Cell⁸-ის თანახმად, ევროკავშირის ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე დეზინფორმაცია, რომელიც არის სისტემატური, რესურსებით კარგად უზრუნველყოფილი და სხვა ქვეყნებთან მიმართებაში პროპორციულად ბევრად უფრო მასშტაბური“.⁹

მეტიც, აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისათვის მომზადებულ ვრცელ მოხსენებაში დეტალურადაა აღწერილი რუსული დეზინფორმაციის ტაქტიკა და მასშტაბები

აშშ-სა და მის ფარგლებს გარეთ. მოხსენების ერთი ნაწილი საქართველოს ეძღვნება და მასში საქართველო აღწერილია, როგორც „რუსეთის ჰიბრიდული ომის პოლიგონი“. განსაკუთრებით გამოკვეთილია კიბერშეტევები, რომლებიც საქართველოს სამთავრობო უწყებებზე 2008 წელს განხორციელდა.¹⁰

ანტიდასავლური დეზინფორმაცია საქართველოში - პრობლემის აღწერა

დეზინფორმაციის ნარატივის მთავარი თემებია იდენტობა და ფასეულობები, კერძოდ, ლგბტქ+ თემის უფლებები, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორი და ევროატლანტიკური მისწრაფებები, ასევე დასავლელი პარტნიორების მისწრაფებები, რომელთა შორისაცაა აშშ, ნატო და ევროკავშირი. ნარატივები გაჯერებულია პრორუსული პროპაგანდით, რომელშიც გაზვიადებულია საბჭოთა წარსული და მართლმადიდებლური ქრისტიანობა. სხვა ტაქტიკური ქმედებები მიზნად ისახავს რუსეთის პასუხისმგებლობის შემცირებას ან აუდიტორიის ყურადღების გადატანას სხვადასხვა სახის ხელოვნური საფრთხეების შექმნით.¹¹ დანართში ჩამოთვლილი ქართული ფაქტების გადამამონწმელები, EU East Stratcom-ის სამუშაო ჯგუფთან ერთად,¹² რეგულარულად აანალიზებენ, ავლენენ და ამხელენ საქართველოზე გამიზნული დეზინფორმაციის კონკრეტულ ნარატივებს.

მედიის განვითარების ფონდი (MDF) ანტიდასავლური პროპაგანდის შესახებ თავისი ყოველწლიური მოხსენების 2018 წლის გამოცემაში ერთ მნიშვნელოვან ტენდენციას გამოკვეთს¹³ - მაშინ, როცა 2015 და 2016 წლებში დეზინფორმაციულ „ნიადაგს ქმნიდა“ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ღირებულებების შეჯახების ნარატივები, 2017 წლის განმავლობაში ჭარბობდა სტრატეგიული მესიჯები საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსის შესახებ. ამ კონტექსტში ასევე

6 The European Commission and the High Representative (2018) “Action Plan against Disinformation” (3-4), იხ: <http://bit.ly/2H4sV2M>

7 ასეთებია „... ომი სირიაშიაღმოსავლეთ უკრაინაში MH-17 თვითმფრინავის ჩამოგდება... [და] ქიმიური იარაღის გამოყენება სალსბერის თავდასმისას“ იხ. სამოქმედო გეგმა, გვ. 3.

8 <http://www.societalsecurity.net/>

9 იქვე

10 U.S. Government Publishing Office (2018) “Putin’s Asymmetric Assault on Democracy in Russia and Europe: Implications for U.S. National Security” (73-76), იხ: <http://bit.ly/2w3hKRL>

11 „მედიის განვითარების ფონდი“ (2019) „ანტიდასავლური პროპაგანდა – 2018“ (37), იხ: <http://bit.ly/2xMFV7R>

12 იხ. აღმოსავლეთის სამუშაო ჯგუფის მონაცემთა ბაზა: <http://bit.ly/2VDxnjV>

13 დაიბეჭდა 2018 წ., მოიცავს 2017 წელს.

ხშირად ვრცელდებოდა რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირის პროპაგანდისტული ნარატივები.¹⁴ 2019 წლის ანგარიში ადასტურებს, რომ გრძელდება „რუსეთის დასავლეთის ალტერნატივის სახით“ წარმოჩენის ტენდენცია.¹⁵

დებინფორმაცია საქართველოში უმთავრესად ადგილობრივი მედიის მიერ ქართულ ენაზე ვრცელდება. ქართული წყაროები ხშირად მითითების გარეშე ავრცელებენ ისეთივე ცრუ ნარატივებს, როგორსაც კრემლის მომხრე პროპაგანდისტული მედიასაშუალებები. ქართული დებინფორმაციის ცნობილ წყაროებს განეკუთვნება „საქართველო და მსოფლიო“ და „საქინფორმი“, ასევე ტელევიზია „ობიექტივი“ და გაზეთი „ასავალ-დასავალი“.¹⁶

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ანგარიშში „ქართული ნეონაციზმის ანატომია“¹⁷ მოყვანილია დეტალები ქვეყანაში ყველაზე აქტიური ულტრამემარჯვენე მოძრაობებისა და სხვა ტიპის ორგანიზაციების შესახებ, რომლებსაც კავშირი აქვთ რუსეთთან და ინფორმაციული ველის დაბინძურებით არიან ცნობილი. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს „პრიმაკოვის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი“, რომელთანაც ქვეყნის ყველაზე აქტიური ულტრამემარჯვენე ჯგუფი „ქართული მარში“ არის დაკავშირებული - ცენტრის ამჟამინდელი დირექტორი და ასევე ყოფილი დეპუტატი, დიმიტრი ლორთქიფანიძე, იყო და არის „ქართული მარშის“ მხარდამჭერი.

ხაზგასასმელია ისიც, რომ დებინფორმაციის ზოგიერთი ნარატივის გაღვივებაში თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. მეტიც, ერთ-ერთი მოხსენების მიხედვით, ეკლესია „ხშირად ერევა საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და უმცირესობის უფლებების საკითხებზე რუსულ ინტერესებთან თანხვედრაში“.¹⁸

დებინფორმაციის გავრცელებაში უმცირესობებსაც აქტიურად იყენებენ. იმის გამო, რომ აზერბაიჯანული და სომხური უმცირესობების თემის წარმომადგენლები საქართველოში უმეტესად კარგად არ ფლობენ ქართულ ენას, ახალი ამბების გასაგებად ისინი უფრო ხშირად მიმართავენ რუსულ მაუწყებლებს. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემებით, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების საკითხში მხარდაჭერა უმცირესობებში უფრო დაბალია, ვიდრე ქვეყნის საერთო მოსახლეობაში.¹⁹

ანტიდასავლური პროპაგანდის ზემოქმედება

მიუხედავად საყოველთაო თანხმობისა, რომ ცრუ ინფორმაციას ნეგატიური შედეგები მოაქვს ქვეყნის დემოკრატიული სტრუქტურისათვის, არ არსებობს მარტივი გზა საზოგადოებაზე გავლენის გასაზომად. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი აზრის კვლევები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, გამჭადრია თუ არა საზოგადოებაში დებინფორმაციის გზით გავრცელებული მნიშვნელოვანი ნარატივები. თუმცა, ამ უკანასკნელთა შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა არ შეიძლება მხოლოდ გამოკითხვების ციტირების საფუძველზე. ბოლოდროინდელი გამოკითხვების მიხედვით, დებინფორმაციის შედეგები ნათლად გამოჩნდა იმ მიზეზებში, რომლებიც მოჰყავდათ რესპონდენტებს იმის დასასაბუთებლად, თუ რატომ არ უნდა ისწრაფოდეს საქართველო ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისკენ. მიზეზთა შორის იყო, მაგალითად, რომ ეს შეასუსტდებდა ქართულ კულტურულ თვითმყოფადობას ან საქართველოს სხვა ტერიტორიასაც

14 „მედიის განვითარების ფონდი“ (2018) „ანტიდასავლური პროპაგანდა - 2017“ (7-8, 15-16), იხ: <http://bit.ly/2PZiyQA>

15 „მედიის განვითარების ფონდი“ (2019) „ანტიდასავლური პროპაგანდა - 2018“ (18, 36, 46), იხ: <http://bit.ly/2xMFV7R>

16 იქვე

17 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ (2018) „ქართული ნეონაციზმის ანატომია“, იხ: <http://bit.ly/2WNR3W>

18 ციციკაშვილი, მ. და კუტიძე, დ. (2018) ქვეთავი „საზოგადოება“, საქართველო მოხსენებაში „გაზომვადი პროპაგანდა: როგორ აადვილებენ ჩვენი სისუსტეები რუსულ გავლენას“ (GlobalFocus Center, 169), იხ: <http://bit.ly/2IPsUY9>

19 CRRC-Georgia for NDI (2019) „საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2019 წლის აპრილის გამოკითხვის შედეგები“, იხ: <http://bit.ly/2VTiIKG>

დააკარგვინებდა. მაგრამ მაინც, მთავარი მიზეზი, როგორც ევროკავშირთან, ისე ნატოსთან დაკავშირებით ის იყო, რომ ამ ორგანიზაციებში ჩვენი განხილვებით რუსეთთან კონფლიქტი გაკვიმწავდებოდა.²⁰

ქვეყნის შიგნით შავი ონლაინ ღვიზორება

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ სოციალური მედია საქართველოში იმდენად გაძლიერდა, რომ შიდაპოლიტიკურ დებატებზე გავლენის მოხდენა შეუძლია. ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ სოციალურ მედიაში - Facebook-ში, სხვადასხვა გვერდების მიერ მრავლად ხდებოდა ცილისწამური კამპანიების, დებინფორმაციისა და მცდარი ინფორმაციის გავრცელება მაშინ, როცა ოფიციალური კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიის გვერდების საქმიანობა უმეტესწილად ჯდებოდა კანონის ფარგლებში²¹; სხვადასხვა სახის ანონიმური გვერდები ინტერნეტით ნეგატიური კამპანიის წარმოების მთავარი საშუალება გახდა. ამ მხრივ, პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ დებინფორმაციის ან/და ბოროტი განზრახვით შექმნილი ინფორმაციის გავრცელებისათვის Facebook-ს ორივე პოლიტიკური მხარე იყენებდა - ხელისუფლება და ოპოზიცია.²²

სოციალური მედიის ბოროტად გამოყენება არჩევნებით არ დასრულებულა. რეალურად ყალბი გვერდების აქტიურობა არჩევნების შემდგომ პერიოდშიც გრძელდება. 2019 წლის დასაწყისში ათეულობით ყალბი გვერდის ფუნქციონირება დაფიქსირდა.²³ გვერდების ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელი ის არის, რომ ფართოდ აზიარებენ იმ შინაარსის მასალას, სადაც ხდება ოპოზიციის დისკრედიტაცია, ხოლო პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილსა და „ქართული ოცნების“ მთავრობას დადებითად წარმოაჩენენ. პოსტები ხშირად დასპონსორებულია და არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ მსგავსი გვერდები კოორდინირებულად მოქმედებენ.²⁴

მადისკრედიტირებელი გვერდების და, საზოგადოდ, ონლაინტროლების სხვა სამიზნეებს შორის არიან სამოქალაქო საზოგადოების, მასმედიის, ბიზნესის სექტორისა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც მმართველი პარტიას ან/და მასთან ასოცირებულ პარტიებს აკრიტიკებენ.²⁵ მეტიც, მადისკრედიტირებელი გვერდები და პროსამთავრობო ტროლები ქვეყანაში მიმდინარე ბოგიერთ მოვლენას დებინფორმაციის მიზნით იყენებდნენ 2019 წლის განმავლობაში. ასეთი მოვლენების უახლესი გამოვლინებაა საქართველოს პარლამენტის წინ მოწყობილი ანტისაოკუპაციო პროტესტი.²⁶

20 CRRC-Georgia for NDI (2019) „საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2019 წლის აპრილის გამოკითხვის შედეგები“, იხ.: <http://bit.ly/2VTiIKG>

21 არალეგალური შემოწირულების კონტექსტში ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც ქვემოთ ციტირებულ ISFED- ის ანგარიშშია ნახსენები, არის „ქართული ოცნების მიერ სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ გაკეთებული უკანონო შემოწირულობა“ (იხ. გვ. 6).

22 ISFED (2018) „სოციალური მედიის მონიტორინგი - მეორე შუალედური ანგარიში“, (4-6, 9) იხ.: <http://bit.ly/2YfUTy2>

23 ISFED (2019) „ალტერნატიული რეალობის შექმნის მცდელობა საქართველოში: ცრუ მედია გვერდები Facebook-ზე“, იხ.: <http://bit.ly/2Xbtduq>

24 იქვე

25 „მედიის განვითარების ფონდი“ (2019) „ტროლების ფაბრიკა, TBC-ის, არასამთავრობოების და მედიის წინააღმდეგ“, იხ.: <http://bit.ly/30iKK5G>

26 „მედიის განვითარების ფონდი“ (2019) „ტროლები ანტისაოკუპაციო პროტესტის წინააღმდეგ“ იხ.: <http://bit.ly/2Stus6x> „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ ISFED (2019) „რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციების დისკრედიტაციის კამპანია“, იხ.: <http://bit.ly/2GoKIGs> ბუზიაშვილი, ე. (2019) „გავრილოვის ღამე: Facebook -ის უამრავი გვერდი უტევს პროტესტანტებს საქართველოში“ (ატლანტიკური საბჭო, DFR Lab), იხ.: <http://bit.ly/30SaG7K>

პრობლემის გადაწყვეტის სანიტარული გამოცდილება

დებინფორმაციის შესახებ ცნობიერების გაზრდის ფონზე, აღსანიშნავია როგორც ევროკავშირის წევრი ზოგიერთი ქვეყნის, ასევე უკრაინის წარმატებული ინიციატივები და დებინფორმაციასთან ეფექტიანად გამკლავების გზები.²⁷ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ევროკავშირი ონლაინპლატფორმების, მაგ. Facebook-ისა და Google-ის, რეგულირების ნაცვლად, ჰერჯერობით თვითრეგულირების ხელშეწყობას არჩევს.

მთავრობის ერთიანი მიდგომა

მნიშვნელოვანია დებინფორმაციისა და ჰიბრიდული საფრთხეების შესახებ პრობლემის სახელმწიფო დონეზე აღიარების ხაზგასმა. სრული პოლიტიკური რეაგირება მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როდესაც ხელისუფლებას კარგად ესმის და სრულად აღიარებს ამ პრობლემებს და აქვს მოქმედების ნება-სურვილი. ამ მიმართულებით არანაკლებ მნიშვნელოვანია მასშტაბისა და მთლიანად სამოქალაქო საზოგადოების როლი.

პრობლემასთან საბრძოლველად ერთიანი სამთავრობო მიდგომა (და პოლიტიკური კურსი) აქვთ შემუშავებული და ახორციელებენ ესტონეთში, ლატვიასა და ლიეტუვაში. ამ ქვეყნების მთავრობათა ყველა შესაბამის განყოფილებაში ტარდება ისეთი ღონისძიებები, როგორცაა „სტრატეგიული კომუნიკაციის ყოვლისმომცველი პროგრამების“ ამოქმედება და შესრულება, როგორც ეს ნაჩვენებია European Values სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (Think-Tank) მიერ შედგენილ კრემლის დივერსიული ოპერაციების სანინააღმდეგო ღონისძიებების 2018 წლის რეიტინგში. ამასთან, ბალტიისპირეთის ქვეყნების სადაზვერვო სამსახურები სრულად აცნობიერებენ პრობლემას და სისტემატურად მუშაობენ მისთვის წინააღმდეგობის განვითარების მიზნით. ხშირია გამოძიებები და უცხოური გავლენის საჯაროდ გამოვლენის ფაქტები.²⁸

ევროკავშირის ძალისხმევა დებინფორმაციის წინააღმდეგ

2018 წელს ევროკავშირმა დებინფორმაციასთან ბრძოლის მიზნით ყოვლისმომცველი ზომების განხორციელება დაიწყო. საგანგებოდ 2019 წლის მაისის ევროპარლამენტის არჩევნების დაცვის მიზნით, ევროკავშირმა წარმატებით შეიმუშავა და მიიღო დებინფორმაციის წინააღმდეგ ქმედებათა ნებაყოფლობითი კოდექსი, რომელსაც ისეთი ტექნოლოგიური გიგანტები აწერენ ხელს, როგორები არიან Facebook-ი, Google-ი და Twitter-ი. პლატფორმების ძალისხმევას, კოდექსის შესრულების თვალსაზრისით, მიესალმება ევროკომისია, მაგრამ ის ასევე მოუწოდებს პლატფორმებს, გაააქტიურონ საკუთარი საქმიანობა ამ მიმართულებით.²⁹ კოდექსის შესრულების სრულ შეფასებას ევროკავშირი 2019 წლის ბოლოსთვის გეგმავს.

2018 წლის მნიშვნელოვანი შედეგი იყო აგრეთვე ევროკავშირის „სამოქმედო გეგმა დებინფორმაციის წინააღმდეგ“.³⁰ ის შეიცავს ოთხ მთავარ თავს, რომლებიც ეხება:

27 კრემლის დივერსიული ოპერაციების წინააღმდეგ ევროკავშირის 28 ქვეყნის მიერ განხორციელებული კონტრზომების ყოველწლიური შეფასების რეიტინგში European Values Think-Tank-ი ესტონეთს, ლატვიას, ლიეტუვას, გაერთიანებულ სამეფოსა და შვედეთს აღწერს როგორც „სრულმასშტაბიან დამცველებს“. რეიტინგი სამი კრიტერიუმს ეფუძნება: „საფრთხის პოლიტიკური აღიარება“, „მთავრობის კონტრქმედებები“ და „საჯაროდ ცნობილი კონტრდაზვერვითი საქმიანობა“. რეიტინგის უახლესი გამოცემა იხ: <http://bit.ly/2Yuxf1z>

28 European Values (2018) “2018 Ranking of countermeasures by the EU28 to the Kremlin’s subversion operations” (4-7), იხ: <http://bit.ly/2Yuxf1z>

29 შესრულების შესახებ ყველა მიმდინარე მოხსენება ხელმისაწვდომია ევროკომისიის ვებგვერდზე: <http://bit.ly/2wr5xGH>

30 European Values (2018) “Commentary: EU finally makes a serious move against hostile disinformation”, იხ: <http://bit.ly/2QzYkgt>; სამოქმედო გეგმის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ევროკავშირმა გამოაცხადა, რომ გაზარდა „ევროპის საგარეო მოქმედებათა სამსახურის“ (EEAS) სტრატეგიული კომუნიკაციების ბიუჯეტი. 2019 წლის ბიუჯეტი ორჯერ აღმატება 2018 წლისას და 1.9 მილიონი ევროდან 5 მილიონ ევრომდეა გაზრდილი.

- (1) ევროკავშირის ინსტიტუციების და წევრი სახელმწიფოების კომპეტენციების გაუმჯობესებას;
- (2) კოორდინაციისა და „ერთობლივი რეაგირების“ გაძლიერებას;
- (3) კერძო აქტორების, როგორცაა ტექნოლოგიური კომპანიები, მობილიზებას;
- (4) „ცნობიერების ამაღლებას და საზოგადოებრივი მედეგობის გაძლიერებას“.

სახელმწიფო უწყებები - კიბერუსაფრთხოება

კიბერუსაფრთხოება ჰიბრიდული საფრთხისაგან თავდაცვის გაფართოებული ჩარჩოს ფარგლებში რეაგირების საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომპონენტია. კიბერუსაფრთხოება თავისთავად დებინფორმაციას რიგი პირდაპირი და არაპირდაპირი გზით უკავშირდება. მაგალითად, ინფორმაციულ ომში გავრცელებული ტაქტიკაა ელექტრონულ სისტემაში არსებულ გასაიდუმლოებულ დოკუმენტებში უკანონოდ შეღწევა, მონაცემების მესხიერებიდან ამოღება ან დაზიანება და მოგვიანებით დებინფორმაციის მიზნით მათი გამოყენება.

კიბერუსაფრთხოების სფეროში საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად ხშირად მოიხსენიებენ ესტონეთს. რუსეთის გავლენით განხორციელებული ქმედებების წარსული გამოცდილების გამო, ესტონეთის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 2006 წლის დასაწყისში ჩამოაყალიბა ე. წ. კომპიუტერული უსაფრთხოების დარღვევაზე გადაუდებელი რეაგირების ჯგუფი (CERT-EE). 2007 წელს ერთკვირიანი კიბერშეტევების შემდეგ, დებინფორმაციის მიმართ ელექტრონული უსაფრთხოებისა და საზოგადოების მედეგობის შემდგომი გაძლიერების მიზნით, მიღებულ იქნა მთელი რიგი მასშტაბური ზომები. ცოდნის დაგროვებაში კაპიტალდაბანდების შედეგად 2008 წ. ესტონეთმა თანამშრომლობითი კიბერთავდაცვის სფეროში ნატო-ს გადამზადების ცენტრს უმასპინძლა. ასევე ამოქმედდა ისეთი სამოქალაქო ინიციატივები, როგორცაა „ესტონეთის თავდაცვის ლიგის კიბერგანყოფილება“.³¹ ინტერნეტში რუსული პროპაგანდის ფაქტების გამოვლენის ძალისხმევას შეუერთდნენ ონლაინ მოხალისეები, რომლებსაც ხშირად მოიხსენიებენ როგორც „ბალტიისპირელ ელფებს“.³²

კიბერუსაფრთხოების სივრცის მიღმა ევროკავშირის წევრმა არაერთმა ქვეყანამ³³ EU East StratCom-ის სამუშაო ჯგუფის მსგავსი დებინფორმაციის საწინააღმდეგო საკუთარი ორგანოები შექმნა. „პროპაგანდისა და გავლენის საწინააღმდეგო ოფიციალური მოქმედებების“ დაწყებით³⁴ ყველა თუ არა, ზოგიერთი ამ ორგანოდან ევროკავშირის ზემოხსენებული სტრუქტურისა და ნატოს ანალოგიური ორგანოების ბუნებრივი პარტნიორი გახდა. მართალია, ატლანტიკური საბჭოს მოხსენების ავტორები აღიარებენ ევროკავშირი/ნატო/ეროვნული მთავრობის ფორმატით თანამშრომლობის შესაძლებლობას, მაგრამ ამის პარალელურად საჭიროდ მიიჩნევენ სახელმწიფო ორგანოების დონეზე შეფასებების გაკეთებას, რაც შედეგად ამ სფეროში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას ხელს შეუწყობს.³⁵

31 Thompson, T. (2019) “Countering Russian disinformation the Baltic nations’ way” (საუბარი), იხ: <http://bit.ly/2QfqT2x>

32 Gerdziunas, B. (2017) “Baltics battle Russia in online disinformation war” (Deutsche Welle), იხ: <http://bit.ly/2WUTuwC>

33 ამ ქვეყნებს შორისაა მაგ.: ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, გაერთიანებული სამეფო, შვედეთი, ფინეთი, გერმანია და ჩეხეთის რესპუბლიკა, იხ. ატლანტიკური საბჭოს ანგარიში “Democratic Defense Against Disinformation” (2018) საიტზე: <http://bit.ly/2XXnYOf>

34 Fried, D. & Polyakova, A. (2018) “Democratic Defense Against Disinformation” (Atlantic Council, 9), იხ: <http://bit.ly/2XXnYOf>

35 იქვე

მედიანინგნიერება და ფაქტების გადამოწმება

მსოფლიო მასშტაბით სულ უფრო და უფრო იზრდება იმ საინფორმაციო საშუალებათა რაოდენობა, რომლებიც სისტემატურად ეწევიან ფაქტების გადამოწმებასა და სიცრუის გამოვლენას. Duke Reporters' Lab-ის ინფორმაციით,³⁶ 2019 წლის ივნისში 60-ზე მეტ ქვეყანაში ფაქტების ნამდვილობის შემოწმების, სულ მცირე, 188 ინიციატივა დაფიქსირდა.

საერთაშორისო მასშტაბით განსაკუთრებით ცნობილი გახდა უკრაინაში მოქმედი ფაქტების გადამოწმების რამდენიმე ინიციატივა. მათ შორისაა StopFake - ორგანიზაცია, რომელიც 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე შეიქმნა.³⁷ StopFake-ისა და Ukrainian Press აკადემიასთან თანამშრომლობით IREX-მა Learn to Discern (L2D) პროექტის ფარგლებში ფაქტების შემოწმების საფუძვლებში სწავლება ჩაუტარა 15 000-მდე უკრაინელს, არაპირდაპირ კი დამატებით 90 000 ადამიანი მოიცვა.³⁸ Learn to Discern პროექტი ოთხი უკრაინული ქალაქის 50 საშუალო სკოლაში მიმდინარეობდა.³⁹

სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მედია ნინგნიერების ასამაღლებლად. ის ზომა, რომელსაც ექსპერტები ჭეშმარიტად ეფექტიანად მიიჩნევენ, არის მედია ნინგნიერების სკოლის სასწავლო გეგმაში „მასშტაბურად ჩართვა“.⁴⁰ ეს, რაღა თქმა უნდა, იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლებიც უნდა იყვნენ მომზადებულნი. ამის კარგი მაგალითია შვედეთი, სადაც სავალდებულო და საშუალო სკოლების ბედა კლასებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმა იმგვარად განახლდა, რომ მასში სხვადასხვა საგნის სწავლებისას ინტეგრირებულია ციფრული უნარები.⁴¹ ამასთან, ფინეთის, შვედეთისა და ნორვეგიის მთავრობები აცნობიერებენ ამ სფეროში „უწყვეტი სწავლის“ მნიშვნელობას და დაინყეს კიდევ ნაბიჯების გადადგმა მომავალში ამგვარი მიდგომის საზოგადოების სხვადასხვა სფეროში განსახორციელებლად.⁴²

ისიც უნდა ითქვას, რომ ხარისხიანი და ობიექტური მედია ინფორმაციული ველის გაჯანსაღების ყველაზე ეფექტური მექანიზმია. ამიტომ მედიის ყველაზე ადეკვატური რეაგირება საკუთარი პროფესიონალიზმის დონის ამაღლება და ჟურნალისტური ეთიკის დაცვაა. ამასთან, მედიას შეუძლია და უნდა იკისროს კიდევ უფრო თვალსაჩინო ფუნქცია ფაქტების შემოწმების თვალსაზრისით, განსაკუთრებით არჩევნების პერიოდში. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არაერთ ამგვარ წამოწყებას დაედო სათავე, რომელთაგანაც ყველაზე ცნობილი, ალბათ, Crosscheck-ია.⁴³ რამდენიმე სახელმწიფო მედია კომპანიამაც დაიწყო დებინფორმაციის საწინააღმდეგო ზომების გატარება, მაგალითად, გერმანიის ინიციატივები - BR Verifikation, #ZDFcheck17 და Faktenfinder.⁴⁴

არჩევნების სამართლიანობის დაცვა

არჩევნებში ჩარევის რისკების გაცნობიერების შედეგად მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში არაერთი ქვეყანა ატარებს ზომებს არჩევნების სამართლიანობის დასაცავად. ამ მიზნის მისაღწევად გავრცელებული მიდგომა საარჩევნო სამუშაო ჯგუფების შექმნაა. პარლამენტის

36 Duke Reporters' Lab (2019) "Number of fact-checking outlets surges to 188 in more than 60 countries", იხ: <http://bit.ly/30fwKIW>

37 StopFake (2019) ჩვენ შესახებ იხ: <http://bit.ly/2w7MYqR>

38 Murrock, E. et al. (2018) "Winning the war on state-sponsored propaganda" (IREX), იხ: <http://bit.ly/2QaZzm2>

39 IREX (2019) "Learn to Discern in Schools (L2D-S)", იხ: <http://bit.ly/2Hvo4GH>

40 HLEG-ი ყალბ აშბებსა და ონლაინ დებინფორმაციაზე (2018) "A multi-dimensional approach to disinformation" (ევროკომისია, 26), იხ: <http://bit.ly/2KYvuGL>

41 EURYDICE (2018) "Digital skills enter into Sweden schools" (ევროკომისია), იხ: <http://bit.ly/2xtF4IV>

42 NORDICOM (2018) "Three Nordic countries to increase MIL among all citizens", იხ: <http://bit.ly/2XuSuiA>

43 პირველი პროექტი (2019) სავლეთ სამუშაო, იხ: <http://bit.ly/309mvWP>

44 ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (2018) "Public service media in the context of disinformation and propaganda" (6-12), იხ: <http://bit.ly/2Stgrpv>

2018 წლის არჩევნების წინ შვედეთის საგანგებო სიტუაციების სამოქალაქო სააგენტომ (MSB) საინფორმაციო ზემოქმედების ქმედებების წინააღმდეგ გაააქტიურა საქმიანობა. სააგენტოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს შორის იყო კრიზისების მართვის ეროვნული სისტემის 9000-მდე სხვადასხვა მთავარი აქტორის ინსტრუქტაჟი, ონლაინ და ოფლაინ მედია საშუალებების საფრთხეების შესახებ ინფორმირება, აგრეთვე კომუნიკატორებისთვის სახელმძღვანელო-ცნობარის შექმნა, რომელიც შეიცავს ინსტრუქციებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს რეაგირება საინფორმაციო ზემოქმედების შემთხვევებზე.⁴⁵ უკრაინის 2019 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაცია StopFake-ი იმ რამდენიმე პარტნიორთა შორის იყო, რომლებმაც, ატლანტიკურ საბჭოსთან ერთად, საკუთარი წვლილი შეიტანეს უკრაინის არჩევნების სამუშაო ჯგუფში. შეიქმნა სწრაფი რეაგირების ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავდა „უკრაინაში უცხოური დივერსიული მოქმედებების მთელი სპექტრის მონიტორინგს, შეფასებას, გამოვლენასა და რეაგირების შესაბამისი ზომების შეთავაზებას“.⁴⁶

საქართველოს თავდაცვა ღონისძიებების წინააღმდეგ-საერთო მიდგომა

საქართველოს ხელისუფლების კონტრზომები არასაკმარისია, როგორც (1) „საფრთხის პოლიტიკური გაცნობიერების“, ისე (2) „მთავრობის მხრიდან დივერსიის სანინააღმდეგო მოქმედებებისა“ და (3) „კონტრდაზვერვის საჯაროდ ცნობილი ქმედებების“ თვალსაზრისი.⁴⁷

პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ჯერ არ წარმოუდგენია საერთო მიდგომა ჰიბრიდული საფრთხეების მიმართ, რომლის ნაწილიც არის დებინფორმაცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს ამგვარი საფრთხეების ფართო პოლიტიკური გაცნობიერება, რაც ხელს უშლის კონტრზომების კოორდინირებისა და ყველა შესაბამის საჯარო უწყებაში რეაგირების სრულყოფილი სტრატეგიის შემოღებას.

„ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს განწვრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის“⁴⁸, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „საკომუნიკაციო სტრატეგია 2017-2020“⁴⁹, „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020“⁵⁰, „2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია“⁵¹, კიბერუსაფრთხოების 2017-2018 წლების ეროვნული სტრატეგია,⁵² საქართველოს სახელმწიფო

45 MSB (2018) “Countering information influence activities: A handbook for communicators”, იხ: <http://bit.ly/2O6NNMv>; EU vs Disinfo (2018) “In Sweden, Resilience is Key to Combatting Disinformation”, იხ: <http://bit.ly/2Lk0zVB> <https://euvsdisinfo.eu/in-sweden-resilience-is-key-to-combatting-disinformation/>

46 უკრაინული არჩევნების სამუშაო ჯგუფი (2019) “Exposing Foreign Interference in Ukraine’s Democracy”, იხ: <http://bit.ly/2Yw5mWo>

47 ეს სამი კრიტერიუმი შეიმუშავა European Values Think-Tank- მა და ისინი წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ კონტრზომების შეფასების სახელმძღვანელო პრინციპებს. მეტი სინათლისათვის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ არჩია, ამ მოხსენებაში დამოუკიდებლად გამოიყენოს იგივე ანალიტიკური ამოსავალი პრინციპები. აქვე უნდა ითქვას, რომ „ევროპული ფასეულობების“ ანგარიშები რამდენიმე დამატებით ნაბიჯს შეიცავს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები თითოეული კრიტერიუმით მიღებული ინდივიდუალური ქულების მიხედვით ფასდებიან. შეფასებები ხელმისაწვდომია საიტზე: <http://bit.ly/2X11f90>

48 ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს განწვრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის, იხ: <http://bit.ly/34OrGxv>

49 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია 2017-2020, იხ: <http://bit.ly/2qDsNBE>

50 თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020, იხ: https://mod.gov.ge/uploads/public/strategiebi_kocefciebi/SDR_17-20.pdf

51 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, იხ: <http://bit.ly/36R5uEU>

52 საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2017-2018 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3548407?publication=1>

უსაფრთხოების სამსახურის წლიური მოხსენებები⁵³ და საქართველოს კანონი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ გარკვეულწილად გვიჩვენებს საფრთხის გაცნობიერების კუთხით, რადგან ეს დოკუმენტები ნამდვილად გვთავაზობს დეტალურს საქართველოს წინაშე მდგომი ჰიბრიდული საფრთხეების შესახებ, რომელთა შორის არის დეზინფორმაციის გავრცელების მიზნები, ტაქტიკა და არხები. თუმცა, ეს სულაც არ არის საკმარისი ძლიერი და ერთიანი რეაგირების მექანიზმის ჩამოსაყალიბებლად.⁵⁴ უსაფრთხოების სამსახური უფრო აქტიურად უნდა მუშაობდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, უცხო ქვეყნებიდან მომდინარე საინფორმაციო გავლენის შესახებ გამოძიების დაწყებისა და ამგვარი ფაქტების საჯაროდ გამოვლენის კუთხით.

დეზინფორმაციის შესახებ თემატური მოკვლევა პარლამენტში

